

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება

04.03.2008 წ.

№ 3/35

ქ. თბილისი

სოფ. გურჯაანში მდებარე ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმისათვის
კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და დროებითი სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აგრეთვე „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 61-ე მუხლებისა და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების №1 დანართში მითითებულ ობიექტს თანდართული (დანართი №2) სააღრიცხვო ბარათის შესაბამისად.
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები ამ დანართებში მითითებული ძეგლისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა).

მინისტრი

ნიკოლოზ ვაჩიშვილი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2008 წლის 4 მარტის №3/35 ბრძანების
დანართი №1

№	ადგილმდებარეობა /მისამართი	სახელწოდება
1	სოფ. გურჯაანი	ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო
ბარათი №



1. სახელწოდება – ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, სოფ. გურჯაანი
3. სახეობა – არქიტექტურის, მემორიალური
4. თარიღი – XIX საუკუნის შუახანა

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო
ბარათი №



1. სახელწოდება – ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, სოფ. გურჯაანი
3. სახეობა – არქიტექტურის, მემორიალური
4. თარიღი – XIX საუკუნის შუახანა